ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 197

“19” მაისი 2023 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, გორგასლის ქუჩა 1-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდები: № 01.18.03.064.079, № 01.18.03.064.080, №01.18.03.062.122) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით შპს „სოთოსთვის“ (საიდენტიფიკაციო № 405108226) გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, გორგასლის ქუჩა 1-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდები: 01.18.03.064.079; 01.18.03.064.080; 01.18.03.062.122) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სოთოსთვის“ (ს/ნ 405108226) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 17 მაისის № 23.691.742 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების - ქალაქ თბილისში, გორგასლის ქუჩა 1-ის მიმდებარედ არსებული 2 კვ. მ. ფართობის მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი № 01.18.03.064.079), ქალაქ თბილისში, გორგასლის ქუჩა 1-ის მიმდებარედ არსებული 2 კვ. მ. ფართობის მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი № 01.18.03.064.080) და ქალაქ თბილისში, გორგასლის ქუჩა 1-ის მიმდებარედ არსებული 12 კვ. მ. ფართობის მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი № 01.18.03.062.122) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით შპს „სოთოსთვის“ (საიდენტიფიკაციო № 405108226) გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთების საერთო საიჯარო ქირის წლიური საფასური - 4800 (ოთხი ათას რვაასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე